საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№219 2014 წლის 21 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე

გამოჩენილი ქართველი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების, გიორგი ნიკოლაძისა და ნიკოლოზ ქაშაკაშვილის დაბადების 125 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებული საიუბილეო ღონისძიების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გამოუყოს 18 000 (თვრამეტი ათასი) ლარი.

ირაკლი ღარიბაშვილი

№532585
23.07.14